მეასე საფეხური

შემოდგომის თბილმა და წყნარმა დღემ გარეთ გამოიტყუა. ჯერ მხოლოდ ეზოში გავლას აპირებდა, თუმცა , ჭიშკართან მისულმა გაიფიქრა-„ქუჩაშიც გავიხედავ, რამდენი ხანია ეზოს გარეთ არ გავსულვარო“ და გავიდა.

ხელჯოხზე დაყრდნობილმა ჯერ აღმაშენებლის გამზირზე სიცილ-კისკისით მიმავალ ახალგაზრდებს გააყოლა მზერა, მერე მარცხნივ მიიხედა. თვალს საამოდ მოხვდა კასკადებად დაშვებული ასსაფეხურიანი კიბის ქათქათა საფეხურები და ხასხასა მწვანე მოლი კიბის რამდენიმე ბაქანზე.

-დაუსრულებიათ ასსაფეხურიანი კიბის რეაბილიტაციაო -ჩაილაპარაკა, თავი გაიმხნევა და კიბისკენ მიმავალ ხეივანს ნელი ნაბიჯით გაუყვა.

გზისპირა ძელსკამზე ჩამოისვენა. თუჯის საზურგეზე ლამაზად ამოეტვიფრათ წარწერა „ქუთაისი“. უკვე ძალიან ახლოს იყო კიბესთან. მოგონებები მოეძალა.

კარგად ახსოვს ამ კიბის მშენებლობა. რამდენჯერ მიუტანია 7-8 წლის ყმაწვილს მშენებლებისთვის ცივი წყალი და სამეზობლოში გამომცხვარი ცხელ-ცხელი ხაჭაპურები. პირველი და ერთადერთი სიყვარულიც ხომ ამ კიბეებზე იპოვა.

უჩვეულოდ დიდი ზამთარი იყო იმ წელს ქუთაისში. პედინსტიტუტში საღამოობით ჰქონდა ლექციები და გვიან ბრუნდებოდა შინ. შორი გზა არ ჰქონდა გასავლელი- იქვე, ინსტიტუტთან, ასსაფეხურიანი კიბეს ჩაირბენდა და უკვე სახლში იყო. მექანიკურად სულ ითვლიდა საფეხურებს.

-97, 98, 99 და... სანამ 100-ს იტყოდა, სლუკუნი მოესმა. დიდთოვლობას ელექტროგადამცემი სადენები დაეზიანებინა და უკუნი სიბნელე იდგა. ასანთს გაჰკრა და თოვლში , ჩემოდანზე ჩამომჯდარ მტირალ გოგონას შეავლო თვალი.

გოგომ სლუკუნ-სლუკუნით უამბო, რომ თბილისიდან არდადეგებზე ჩამოვიდა მშობლიურ ქალაქში, მატარებელმა დაიგვიანა, სადგურიდან გზის მოჭრა დაუპირებია, ასსაფეხურიან კიბეებს ჩამოჰყოლია, თოვლზე დაცურებულა და ფეხმტკივანი წასვლას ვეღარ ახერხებდა.

ბიჭმა იქვე, საკუთარ სახლში მიიყვანა გოგონა, მშობლებიც დაეხმარნენ და მეზობლის მანქანით სახლამდე მიუცილებიათ. მომდევნო წლის დიდთოვლობისას უკვე პირმშოს ელოდებოდნენ. ხშირად მოდიოდნენ მერე ერთად ასსაფეხურიან კიბესთან და იმ თოვლიან ღამეს ათასმეერთედ იგონებდნენ.

თვალები აუცრემლიანდა მოხუცს. 4 წელია მარტოა. 4 წელია აღარც მოსულა კიბესთან. საფეხურებჩაფშვნილი, ჩაბნელებული კიბის დანახვა კიდევ უფრო უკლავდა გულს.

ახლა კი კიბეს ახალი სიცოცხლე დაუწყია. ფართო საფეხურები, მწვანე ნარგავები, კოხტა ლამპიონები...

კიბესთან, პატარა სკვერში უცნაური დანადგარი შეამჩნია. მიუახლოვდა. იქვე, დიდ ბანერზე რაღაც ეწერა. უსათვალოდ ვერ ამოიკითხა. კიბეზე ხტუნვით მომავალი ყმაწვილები შეაჩერა და თხოვა - წამიკითხეთ, ბაბუებო, აქ რა წერიაო.

„ეკო-მეგობრული სკვერი მოეწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მერების შეთანხმება აღმოსავლეთით მე-3 ფაზა“ ფარგლებში. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
საქართველოში „მერების შეთანხმების“ 26 ხელმომწერთა შორისაა. მზის პანელების მიერ გამომუშავებული ელექტრონერგია მოხმარდება ასსაფეხურიანი კიბის ლამპიონების განათებას.“- ჩაარაკრაკა ბიჭუნამ.

-ეს როგორ? ეს პატარა პანელები ამდენ ლამპიონს გაანათებს?- უკვირს მოხუცს.

-კი, ბაბუ. იცით რა ლამაზად ნათდება საღამოობით ეს კიბე ? თან, ნათურებიც ჭკვიანი და ეკონომიურია. თუ სათანადოდ არ ბნელა, ისე არც აინთებიან და არც ჩაქრებიან- უხსნიან ბავშვები.

--თქვენ საიდან იცით ?

-სკოლაშიც გვაქვს მზის პანელები და ეკო-ნათურები, მასწავლებელმა გვითხრა, გარემოს ვუფრთხილდებით ასე და სკოლას ხარჯიც ნაკლები აქვსო, - ერთმანეთს არ აცლიან ბიჭები.

-გაიხარეთ ბავშვებო, რამდენი რამ არ მცოდნიაო- უფრო სიხარულით, ვიდრე დანანებით ჩაილაპარაკა მოხუცმა და ისევ ძელსკამისკენ გაეშურა.

ამასობაში დაბინდებულიყო კიდეც. ნელ -ნელა ინთებოდა კიბის ლამპიონები.

-ამათ ნათებას ვერც დიდთოვლობა შეუშლის ხელსო, გაიფიქრა. მზერა ააყოლა საფეხურებს და უცებ შეკრთა- იქ, მეასე საფეხურთან, ლამპიონების ჩრდილში, ჩემოდანზე ჩამომჯდარი სიფრიფანა სილუეტი ილანდებოდა.